

სასწავლო კურსის (სილაბუსის) სტრუქტურა

სალექციო კურსის სახელწოდება : **Sesaval i kursi informatikaSi**  
სასწავლო კურსის კოდი: **SH. 17**

**ლექტორ (ებ)ი:** სვიმონ ოხანაშვილი, ასოც. პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინფორმატიკის კათედრა; ტელ: 27-4876 (სახლი), 27-33-20 (დეკანატი), 599-57-32-25 (მობ.).

E-mail: [sokhanashvili@yahoo.com](mailto:sokhanashvili@yahoo.com),

კონსულტაციის დღეები: სამშაბათ, პარასკევი, 11:00-14:00, ინფორმატიკის კათედრა (კომპიუტერული ცენტრის ლაბორატორია სათული ოთახი #99)

**კრედიტების რაოდენობა (ECTS) და საათების განაწილება:** 5 krediti. სალექციო კურსის (pirvel i kursis I semestri) ხანგრძლივობაა 1 სემესტრი (15 კვირა), კვირაში 1 ლექცია და 1 პრაქტიკული, სულ 125 საათი, მათ შორის 30 საკონტაქტო და 95 დამოუკიდებელი მუშაობის.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო, იგი გათვალისწინებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაკალავრიატის სტუდენტთათვის და იკითხება პირველ სემესტრში.

**სალექციო კურსის მიზანია:** სტუდენტებს მიაწოდოს თეორიული ინფორმაცია ინფორმატიკის საგნის ძირითად საკითხებზე და მის პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

**სალექციო კურსზე დაშვების წინაპირობა:** არ გააჩნია.

**სალექციო კურსის სწავლების შედეგი:**

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს საგნის საფუძვლების ზოგადი ცოდნა და აცნობიერებს ძირითადი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს	აცნობიერებს საგნის ძირითად მოთხოვნებს
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია გამოიყენოს სხვა საგნების სწავლის პროცესში	ფლობს საგნის ძირითად მოთხოვნებს და შეუძლია მათი გამოყენება.
დასკვნის უნარი	შეუძლია სათანადო დასკვნების გაკეთება საგანთან მიართებაში	-
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია პროფესიულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია	-

<b>სწავლის უნარი</b>	შეუძლია შემდგომში სწავლის საჭიროების განსაზღვრა.	დამოუკიდებლად შეუძლია სწავლის გაგრძელება
<b>ღირებულებები</b>	იცნობს აღნიშნული საგნის ძირიდან მახასიათებლებს.	ითვალისწინებს და პატივს სცემს პროფესიონალთა აზრს.

#### **საღეჭიო კურსის შინაარსი:**

ლექცია 1. **თემა:** ინფორმაცია მატერიალურ სამყაროში, სიგნალები და მონაცემები, მონაცემები და მეთოდები, ინფორმაციის ცნება, ინფორმაციის თვისებები. ([1]. გვ. 6-10)

ლექცია 2. **თემა:** მონაცემები, მონაცემთა მატარებლები, მონაცემებთან დაკავშირებული ოპერაციები, მონაცემთა ძირითადი სტრუქტურები. ([1]. გვ. 12-31)

ლექცია 3. **თემა:** ფაილები და ფაილური სტრუქტურები, მონაცემთა წარმოდგენის ერთეულები, მონაცემთა საზომი ერთეულები. ([1]. გვ. 31-35)

ლექცია 4. **თემა:** ინფორმატიკა, ინფორმატიკის საგანი და ამოცანები, ინფორმატიკის სათავეები და წინაპირობები. ([1]. გვ. 35-38)

ლექცია 5. **თემა:** გამომთვლელი ტექნიკის საშუალებათა განვითარების ისტორია, გამომთვლელი სისტემა, კომპიუტერი, კომპიუტერის მოქმედების პრინციპი. ([1]. გვ. 41-45)

ლექცია 6. **თემა:** კომპიუტერთა კლასიფიკაციის მეთოდები, კლასიფიკაცია დანიშნულების მიხედვით, კომპიუტერთა სხვა სახის კლასიფიკაცია. ([1]. გვ. 46-54)

ლექცია 7. **თემა:** გამომთვლელი სისტემის შედგენილობა, აპარატული უზრუნველყოფა, პროგრამული უზრუნველყოფა, გამოყენებითი პროგრამული საშუალების კლასიფიკაცია, ექსპერტული სისტემები, ვიდეომონტჟის სისტემები, მომსახურე (დამხმარე) პროგრამული საშუალებების კლასიფიკაცია. ([1]. გვ. 55-71)

ლექცია 8. **თემა:** კომპიუტერული ქსელები, ლოკალური და გლობალური ქსელები. ძირითადი ცნებები, ქსელური სამსახურები. ([1]. გვ. 73-81)

ლექცია 9. **თემა:** ინტერნეტი. ძირითადი ცნებები. ინტერნეტის თეორიული საფუძვლები, ინტერნეტის სამსახურები. ([1]. გვ. 81-94)

ლექცია 10. **თემა:** ინტერნეტთან შეერთება, ძირითადი ცნებები, მოდემის დაყენება. ([1]. გვ. 95-98)

ლექცია 11. **თემა:** კომპიუტერული უსაფრთხოების საკითხები, კომპიუტერული უსაფრთხოების ცნება, კომპიუტერული ვირუსები, კომპიუტერული ვირუსებისაგან დაცვის მეთოდები, ინფორმაციის დაცვა ინტერნეტში. ([1]. გვ. 98-110)

ლექცია 12. **თემა:** World Wide Web, ძირითადი ცნებები, დოკუმენტების დამისამართება. ([1]. გვ. 111-113)

ლექცია 13. **თემა:** მუშაობა პროგრამასთან Internet Explorer 5.0, Web-გვერდების გახსნა და გადათვალიერება, ბროუზერის მართვის ხერხები. ([1]. გვ. 113-118)

ლექცია 14. **თემა:** ინფორმაციის პენა World Wide Web-ში, ფაილების მიღება ინტერნეტიდან. ([1]. გვ. 120-122)

ლექცია 15. **თემა:** შეტყობინებათა გაგზავნა და მიღება, მუშაობა Outlook Express პროგრამასთან, სამისამართო წიგნთან მუშაობა.([1]. გვ. 124-128)

**სწავლისა და სწავლების მეთოდები:** ლექცია, სემინარი, წერიტი და ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია.

**შეფასების კრიტერიუმები:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა.

ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

- 1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);
- 2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);
- 3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი ფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი ფასდება წერიტი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი ფასდება ოთხჯერადად, წერიტი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერიტი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაოებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა

დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით.

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით.

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შევა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ მან თვითონ გადაწყვიტოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხი, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის

რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილავენ სტუდენტის ნაწერს. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს იგი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები გაწერილია სასწავლო კურსის სილაბუსში, არის გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდება ინფორმაცია.

სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი იქნება არა ნაკლებ 10 დღისა.

შეფასების წესი:

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არა ნაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

ქულები შეფასება ნიშანი

91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	C
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება, ხოლო F შეფასების შემთხვევაში სტუდენტმა კრედიტების მისაღებად კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

**ძირითადი ლიტერატურა:**

[1]. ნამიჩიეშვილი, 2000. ოლეგ ნამიჩიეშვილი, ჟუჟინა გოგიაშვილი, ინფორმატიკის შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი 2000. (144 გვ.)

**დამხმარე ლიტერატურა:** ჩაჩანიძე 2005, გურამ ჩაჩანიძე, სვიმონ ოხანაშვილი